

2023 წლის ბიუჯეტის პროექტი:
პასუხი ქვეყნის გამომწვევებზე და
რეკომენდაციები



2022



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

მთავარი გამოწვევა:

- ქვეყნის მთავარი გამოწვევა ეკონომიკური ზრდისთვის მიდგომების და, საზოგადოდ, პოლიტიკის გაბედული გადააზრებაა. 2023 წ. ბიუჯეტის პროექტი გაცილებით უკეთ შეიძლება პასუხობდეს ქვეყნის უმთავრეს ინფრასტრუქტურულ და განათლების გამოწვევებს, რაც საერთაშორისო გამოცდილებით, საშუალოვადიან პერსპექტივაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივია.
- იმ დროს, როცა პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა სხვა ქვეყნებს საბიუჯეტო ხარჯვის და ეკონომიკური პოლიტიკის ჩვენზე გაცილებით გაბედული გადააზრებისკენ უბიძგა, მსგავსი მასშტაბური გადააზრების გარეშე ჩვენი ჩამორჩენა გარდაუვალია. ამ ქვეყნებში საბიუჯეტო ხარჯვის გადააზრება ნაკარნახევია ლოჯისტიკური და წარმოების ჯაჭვების მოშლით, ინფლაციით მუშახელის უპრეცედენტო დეფიციტით, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდით, ციფრული ეკონომიკის აღმასვლით. ახლახანს გამოკვეთილი რეცესიის მოლოდინები ამ საბიუჯეტო ხარჯვაში დიდი ალბათობით დამატებით კორექტივებს შეიტანს.

პროგრესი

- 2023 წ. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი უბრუნდება კანონით¹ განსაზღვრულ 3.0%-იან ლიმიტს (მშპ-ს 2.9%-ზე დაგეგმილი). 2023 წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალი მშპ-ს 38.8%-ის დონეზეა დაგეგმილი, რაც საგრძნობლად ნაკლებია კანონით გათვალისწინებულ მაქსიმალურ 60%-იან ზღვარზე.
- ბიუჯეტის ნაშთის 594 მლნ ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით სტიმულირებისათვის მიემართება კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში.
- ბიუჯეტის თანხმლები, საბიუჯეტო კოდექსის ცვლილების პროექტით გათვალისწინებულია სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ფინანსური ოპერაციების სახელმწიფოს ერთიან ბიუჯეტში ასახვა.
- სახელმწიფო საწარმოებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ანალიზის ხარისხის ზრდა.
- სავალდებულო ხდება ბიუჯეტს თან დაერთოს ინფორმაცია საგადასახადო დანახარჯების შესახებ, რაც 2021 წ. ფინანსთა სამინისტრომ თავისი კეთილი ნებით გააკეთა.

¹ ეკონომიკური თავისუფლების შესახებ

I ძირითადი დასკვნები: 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი

დასკვნა 1: მთავრობის ადმინისტრაციული ზომა და სოციალური ხარჯები

2023წ. ბიუჯეტის პროექტის მთავარი გამოწვევა, როგორ გადანაწილდეს რესურსები არაპროდუქტიული დარგებიდან პროდუქტიულ დარგებში მთავრობის მზარდი ადმინისტრაციული ზომის ფონზე.

1.1. შრომის ანაზღაურება, რაც 2023 წ. რეკორდულ ნიშნულს მიაღწევს, მთავრობის ადმინისტრაციული ხარჯების ერთადერთი დათვლადი ნაწილია. მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯის დათვლა შეუძლებელია გონივრული სანდოობით, ვინაიდან არ გვაქვს საშუალება ადმინისტრაციული და პროგრამული ხარჯები გავმიჯნოთ.

საჯარო სექტორში დაგეგმილია დასაქმების და ხელფასების 10%-ით (პოლიციელების და ჯარისკაცების ხელფასის 20%-ით) ზრდა. საჯარო სექტორში სულ დასაქმებულია 352,000 ადამიანი², ცენტრალური³ და ადგ. მთავრობის, სსიპების, ააიპების, სახ. საწარმოების ჩათვლით, რომელთა შრომის ანაზღაურება (ერთიანი ბიუჯეტი) ლ3.3 მლრდ. ლარს⁴ აღწევს, რაც ლ477.0 მლნ-ით (17%-ით) მეტია 2022 წ. და ლ840.3 მლნ. (34%-ით) მეტია 2021 წ. შედარებით. 2023წ. მოსალოდნელი რეალური მშპ-ს დაახლოებით 7% და ხარჯების 18%-ია. 2026წ. ერთიანი ბიუჯეტის შრომის ანაზღაურება 4.4. მლრდ ლარს მიაღწევს, რაც ასევე 34%-იანი ზრდაა 2023 წ. შედარებით. გამოდის რომ, საქართველოს მოსახლეობის 9.5% (საქსტატის 2021 წ. მონაცემების მიხედვით დასაქმებულთა 28.9%) საჯარო სამსახურშია დასაქმებული. ამდენად, მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯი მოსალოდნელი რეალური მშპ-ს 7%-ზე გაცილებით მეტი გამოვა.

მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯის მისაღებად, ამ მთლიანი შრომის ანაზღაურების 3.3 მლრდ ლარს უნდა დავემატოთ:

- ცენტრ. მთავრობის სხვა ადმინისტრაციული ხარჯები, ანუ საქონლის და მომსახურების და არაფინანსური აქტივების ზრდის უშუალოდ ადმინისტრაციული ნაწილი, რისი გამოცალკევებაც პროგრამულიდან, როგორც აღვნიშნეთ, დღეს შეუძლებელია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის დანარჩენი ადმინისტრაციული ხარჯები.

1.2. სოციალური დაცვის ხარჯების ზრდა: სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება გაზრდილია ლ792.68 მლნ-ით, რომლის ფარგლებშიც ასევე გათვალისწინებულია პენსიის ზრდა ლ494.2 მლნ-ით.

პენსიების ზრდასთან ერთად იზრდება იმ პირთა რაოდენობა, ვინც იღებს პენსიას და სოციალურ დახმარებას. საქსტატის მონაცემების მიხედვით, პენსიის, საარსებო შემწეობის და სოციალური


² <https://bm.ge/ka/article/sinamdvilesi-ramden-adamians-asagmebs-sajaro-seqtori-/92960>

³ მხოლოდ ცენტრალურ მთავრობას ჰყავს 112,852 თანამშრომელი, რომელთა შრომის ანაზღაურება 2.2 მლრდ. ლარია.

⁴ მხოლოდ ცენტრალური მთავრობის შრომის ანაზღაურება იზრდება 2.2 მლრდ ლარამდე

პაკეტის მიმდებთა რაოდენობა 21%-ით გაიზარდა 2022 წელს 2015 წელთან შედარებით და 1.6 მილიონს გადააჭარბა. სოციალური პაკეტი არის ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა, რომელიც ინიშნება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გამო და მარჩენალის გარდაცვალების საფუძველზე, ხოლო საარსებო შემწეობა არის ფულადი სახის გასაცემელი, რომლის მიზანია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული მოწყვლადი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირება და მისი პრევენცია.

გრაფიკი: პენსიის, საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის მიმდებთა რიცხოვნობა (ათასი)



წყარო: საქსტატი, სოციალური მომსახურების სააგენტო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2022 წელი მოცემულია სექტემბრის მდგომარეობით.

სად არის გამოსავალი თუ მთავრობის ადმინისტრაციული ზომის და სოციალური ხარჯების შემცირება, არავის აწყობს:

- არც მოსახლეობის ეტატიტურ უმრავლესობას;
- არც მთავრობას;
- არც 352,000 საჯარო მოხელეს (სახელმწიფო საწარმოების თანამშრომლების ჩათვლით);
- არც სოციალური გასაცემლების მიმდებთა?

ამ კატეგორიების შეკრება კი, დიდი ალბათობით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მოგვცემს.

დასკვნა 1:

- სოციალური გასაცემლების არატარგეტირებული ზრდა აკლდება იმ რესურსს, რაც უნდა მოხმარდეს ქვეყნის განვითარებას, კერძოდ:
 - o ეკონომიკურ ზრდაზე პასუხიმგებელ ისეთ დარგებს, როგორცაა ინფრასტრუქტურა და განათლება, რასაც ქვემოთ, მე-2 დასკვნაში ვეხებით.
 - o იმ ადამიანებს, ვისაც მეტად სჭირდებათ ეს დახმარება, რაც მიღწევადია მიზნობრივი სოციალური დახმარებების (TSA) სწორი, კომპლექსური და

გაბედული რეფორმის შემთხვევაში, რაც პირველ რიგში მოსახლეობის შემოსავლების გაცილებით უკეთ აღრიცხვას ითხოვს, ვიდრე ღღეს გვაქვს. მიზნობრივი სოციალური დახმარებების (TSA) რეფორმის კომპლექსურობას სწორედ შემოსავლების უკეთ აღრიცხვა განაპირობებს. საერთაშორისო გამოცდილებით, შემოსავლების აღრიცხვასთან დაუწყვილებელი მიზნობრივი სოციალური დახმარებების რეფორმა შედეგიანი ვერ იქნება.

- შრომის ანაზღაურების ზრდა ნორმალური მოვლენაა, როცა საჯარო მოხელეთა რაოდენობა წლიდან წლამდე არ იზრდება.
- სოციალური გასაცემლების არატარგეტირებული ზრდა მუშახელის გააქტიურების ერთ-ერთი მთავარი ანტისტიმულია: ჩვენ არ ვიცით განვითარებადი ქვეყანა, რომელმაც ხარჯვის ზრდის ფონზე სოცუზრუნველყოფის სისტემის ძირეული რეფორმა მოახერხა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებმა, სადაც სიღარიბე ობიექტურ ფაქტორებთან ერთად სოციალურ-კულტურული მდგომარეობაც იყო, როგორც საქართველოში.
- თუ 2023წ. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების (გადასახდელები მთლიან ხარჯვას ნიშნავს) 33% ხელფასებზე, პენსიებსა და სოციალურ დახმარებებზე განაწილდება, როგორც ამჟამინდელ (პირველ) ვერსიაში, ბიუჯეტი ვერ იქნება ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული.

დასკვნა 2: პროდუქტიული დარგების საბიუჯეტო დაფინანსება

2.1. ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურული გამოწვევები ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, მათ შორის როგორც პირდაპირი უცხოური ისე შიდა ინვესტიციების მოზიდვას. რეგიონული განვითარების, ინფრასტრუქტურის არასაკმარისი დაფინანსება უარყოფითად აისახება გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე. პოსტპანდემიურ პერიოდში ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების უპრეცედენტო მასშტაბის ტალღა დაიწყო არაერთ ქვეყანაში, მათ შორის ა.შ.შ.-სა და გაერთიანებულ სამეფოში.


ქვეყნის მთავარი ინფრასტრუქტურული გამოწვევა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტია, რომელსაც თავად სახელმწიფო წარუმატებელ პროექტს ეძახის და ყველას მიავიწყდა. ანაკლიაზე გამოყოფილი 2.85 მლნ ნიშნავს, რომ გარღვევა ვერ გვექნება განსაკუთრებით მიმდინარე სასამართლო დავის ფონზე, სადაც აქციონერები სახელმწიფოსგან კომპენსაციას ითხოვენ. ეს 2.85 მლნ ლარი ნავსადგურის განვითარების პროექტის ხელშეწყობასა და ახალი საინვესტიციო ხელშეკრულებების მონიტორინგზე დაიხარჯება.

ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საქართველოში შესაფერისი კონტრაქტორების პოვნაა. მათ საძიებლად აქტიურად უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შესაძლებლობა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობას არაერთი ქვეყანა აქტიურად იყენებს ამ მიზნისთვის. საქართველოში თუ ვეძებთ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებელი, მითუმეტეს სპეციფიკური პროექტების, ცხადია, ვერ ვიპოვით.

კარგი საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საინვესტიციო პროექტების დაგეგმვა, როცა კერძო კონტრაქტორის და არა რომელიმე სახელმწიფო უწყების პასუხისმგებლობაა, ეს

პროექტები გაცილებით ეფექტიანად ხორციელდება და არც თანხების ათვისების პრობლემა დგება. ის ძალიან სპეციფიკური საინჟინრო და რისკების შეფასების/მინიმიზების ექსპერტიზა, რაც ამ სპეციალიზებულ კომპანიებს აქვთ რეგიონული განვითარების სამინისტროს თავის შიგნით (in-house) რომ ჰქონდეს გაცილებით ძვირი დაუჯდება. ამ კომპანიების მომსახურება ბევრად ნაკლებია, ვიდრე საინვესტიციო პროექტების ჩავარდნით და შეფერხებით გამოწვეული ზიანი/ზარალი.

გრაფიკი: რეგიონული განვითარების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის დაფინანსება და ინვესტიციები (მლრდ. ლარი)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი *საპროგნოზო მაჩვენებელი

2.2. პროდუქტიული დარგების საბიუჯეტო დაფინანსება: განათლება

მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იზრდება განათლების, მეცნიერებისა და პროფესიული მომზადებისთვის გამოყოფილი ხარჯები, ეს შედეგებზე არ აისახება, რაც აჩენს კითხვებს თუ რამდენად ეფექტიანად ხდება გამოყოფილი რესურსების გამოყენება.

გრაფიკი: განათლების, მეცნიერებისა და პროფესიული მომზადებისთვის გამოყოფილი რესურსი (მლრდ. ლარი)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

PISA⁵-ს საერთაშორისო შეფასების შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს განათლების სისტემას მნიშვნელოვანი ცვლილებები სჭირდება იმისთვის, რომ ამ შეფასებაში ბოლოდან ეტაპობრივად ავიწიოთ მაღლა.

PISA-ს შეფასების 2018 წლის ანგარიშზე დაყრდნობით, წაკითხულის გააზრების, მათემატიკისა, და მეცნიერებების დაჯამებული ქულის მიხედვით, საქართველო 78 ქვეყნიდან 70-ე ადგილს იკავებს, რაც ძალიან დაბალი შედეგია და მიუთითებს ჩვენი განათლების სექტორში არსებული გამოწვევების სიმწვავეზე. საქართველოში ყოველი 15 წლის მოსწავლეების 65% ფუნქციონალურად უწიგნური (რაც ნიშნავს, რომ შეიძლება პრობლემები ჰქონდეს ტექსტის გაგებასა და გაანალიზებაში), ევროკავშირში კი -- 20%. სექტორის ზოგადი გამოწვევები მოიცავს: საჯარო სკოლებში მასწავლებლების საშუალო ასაკის ზრდას და დაბალ ხელფასებს, დაბალი ხარისხის ტექნიკურ აღჭურვილობას და შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციას. გარდა ამისა, სექტორის მთავარი გამოწვევაა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი აბსოლუტურ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და შვილებს ვერ აძლევს წვდომას შესაბამის ლიტერატურასა თუ სასწავლო მასალებზე.

⁵ OECD-ის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA) 15 წლის მოზარდებში ზომავს კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო ცოდნას და უნარებს

გრაფიკი: PISA-ს 2018 წლის შედეგები



წყარო: World Development Indicators, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სკოლამდელი განათლება: მსოფლიო ბანკის ადამიანური კაპიტალის 2022წ. ანგარიშის მიხედვით, არსებითი პროგრესის მიუხედავად, ბავშვთა განვითარების შედეგები მნიშვნელოვნად დაბალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველომ დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება ადამიანური განვითარების სექტორებში, რამაც გამოიწვია ბავშვის განვითარების შედეგების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. მიუხედავად ამ პროგრესისა, კვლავ არის გამოწვევები. ე.წ. სთანინგი (Stunting), რაც ცუდი კვებით, ინფექციებით და არაადეკვატური ფსიქომოციური სტიმულირებით გამოწვეული განვითარების შეფერხებაა, ბავშვების დაახლოებით 6%-ში შეინიშნება. 2-7 წლის ბავშვების თითქმის 40% აქვს სისხლში ტყვიის მაღალი კონცენტრაცია, რაც გავლენას ახდენს მათ გონებრივ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე. ხუთ წლამდე ქართველი ბავშვების თითქმის ნახევარს სახლში სამზე ნაკლები საბავშვო წიგნი აქვს; თითქმის ყოველი მეოთხე ბავშვი არ დადის საბავშვო ბაღში, მაშინ როცა ევროკავშირის ქვეყნებში პრაქტიკულად ყველა ბავშვი დადის.

დასკვნა 2:

- რესურსების პროდუქტიული დარგებიდან არაპროდუქტიულ დარგებში გადაქარვა ამცირებს რეალური მშპ-ს ზრდის ტემპს (აქ ნომინალური მშპ-ს ზრდა ორიენტირად ვერ გამოდგება).
- პირიქით, არაპროდუქტიული დარგებიდან პროდუქტიულ დარგებში გადაქარვა კი ნათელი სიგნალია ბიზნესის და ინვესტორებისთვის, რომ მთავრობა იქნება მეტად პრობიზნესური.

დასკვნა 3: შედეგებზე ბიუჯეტის ორიენტაცია

ბიუჯეტის შედეგებზე ორიენტაცია ყველაზე თვალნათლივ პროგრამულ დანართში ჩანს, სადაც მოცემულია რომელმა პროგრამამ რა შედეგებს უნდა მიაღწიოს. პროგრამული დანართი არ არის ბიუჯეტის კანონის ნაწილი. მას პარლამენტი არ ამტკიცებს. შესაბამისად, საბიუჯეტო მხარჯავებს აქ მოცემულ შედეგებზე არ უდგებათ ის პასუხისმგებლობა, რაც დაუდგებოდათ პროგრამული დანართი ბიუჯეტის კანონის ნაწილი რომ იყოს.

შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისთვის აუცილებელია სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი და დროში შეზღუდული ინდიკატორები. პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრული ინდიკატორების მთავარი პრობლემა მათი გაზომვადობაა. პროგრამებისა და ქვეპროგრამების შუალედური თუ საბოლოო შედეგების სრულყოფილად გაზომვა ხშირად შეუძლებელია იმ ინდიკატორებით, რაც აქვთ.

ბევრ პროგრამას, მაგალითად ინფრასტრუქტურულ და გარემოს დაცვის ქვეპროგრამებს, არ აქვს შუალედური შედეგის ინდიკატორები, რაც შეუძლებელს ხდის შუალედური (12 თვე) შედეგების შეფასებას ამ პროგრამებისთვის.

შედეგებზე ორიენტაციის გასაზრდელად არაერთმა ქვეყანამ ინკრემენტული ბიუჯეტირებიდან ნულოვან ბიუჯეტირებაზე⁶ ეტაპობრივი გადასვლა მოსინჯა. ინკრემენტული ბიუჯეტირება წლიდან წლამდე მზარდ ბიუჯეტირებას ნიშნავს. ნულოვანი ბიუჯეტირების არსი ის არის, რომ წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით ყოველ წელს მოხდეს ასიგნებების ხელახლა განსაზღვრა. ბიზნესის მსგავსად, ამ შემთხვევაში ყოველ წელს თავიდან დგინდება ბიუჯეტი (ანუ რამდენს მიიღებ და გაცემ) და საოპერაციო გეგმები. როგორც წესი, არ არის ან მინიმუმამდეა დაყვანილი წინასწარ ავტორიზებული მუხლები⁷, რადგან არ უშვებენ, რომ წინა წლის რეალიზაციების ან დანახარჯების ტენდენციები გაგრძელდება. თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ ეს ყველა საბიუჯეტო პროგრამისთვის ვერ გაკეთდება. წინა წელს მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღწეული არასაკმარისი შედეგების გამო მისთვის მომავალი წლის დაფინანსების შემცირებით შეიძლება მისი საბიუჯეტო პროგრამების ბენეფიციარები დაზარალდნენ და არა მხარჯავი დაწესებულება.


დასკვნა 4: სახელმწიფო საწარმოები:

ფინანსთა სამინისტროს არ აქვს თავისუფლება მოაგვაროს სახელმწიფო საწარმოების ის პრობლემები, რასაც ფისკალური რისკების დოკუმენტში თავად აღწერს, პირველ რიგში დაასრულოს და შემდეგ აკრძალოს კვაზი-ფისკალური აქტივობები, მაგ., ტარიფების შენარჩუნება. ასევე, ფინანსთა სამინისტროს არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, გათავისუფლდეს სახელმწიფო საწარმოების აქტივებისგან.

⁶ Zero-based budgeting

⁷ Pre-authorized funds

გრაფიკი: ნაერთი მოგება-ზარალის ანგარიშგება (მარაბდა-კარნახის რკინიგზის ჩათვლით, მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების ანალიზი, რაც წლიდან წლამდე იხვეწება, კარგად აღწერს სახელმწიფო საწარმოების ძირითად პრობლემებს. 2023 წლის ბიუჯეტის ფისკალური რისკების ანალიზის ფარგლებში სამინისტრომ 316 სახელმწიფო საწარმო გამოიკვლია, რომელთაგან 154 ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო 162 ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი შემოსავლით გამოირჩევიან ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაზე მომუშავე სახელმწიფო საწარმოები.


გრაფიკი: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოთა ერთობლივი შემოსავალი სექტორების მიხედვით (ათასი ლარი), 2021 წ.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სახელმწიფო საწარმოების კვაზი-ფისკალური საქმიანობა ფისკალური რისკების უმსხვილესი წყაროა. კვაზი-ფისკალურია საქმიანობა, რომელსაც სახელმწიფო საწარმო ახორციელებს ცხადად, მთავრობის დავალებით ან ფარულად და საქონლის/მომსახურების მიწოდებისთვის გადახდილი თანხა საბაზრო ფასზე დაბალია. როგორც თავად სამინისტრო აღნიშნავს ბიუჯეტის ფისკალური რისკების დანართში, მსგავსი აქტივობების გამო მცირდება სახელმწიფო საწარმოთა წმინდა მოგება და ხშირ შემთხვევაში ხდება კვაზი-ფისკალური აქტივობების სუბსიდირება სახელმწიფოს მხრიდან. კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც საწარმოთათვის არაკომპენსირებულ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებულ ტვირთს შეამსუბუქებს ან ნულამდე დაიყვანს.

გრაფიკი: კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოთა წმინდა მოგებაზე (მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

დასკვნა: არის სფეროები, სადაც სახელმწიფომ საქართველოზე განვითარებულ ქვეყნებშიც გვიან მოახერხა მოეცილებინა საქმიანობა/აქტივები, მაგ.,

- საფინანსო საქმიანობა (8 საწარმო, მაგ., თავად საპარტნიორო ფონდი და მისი დაფუძნებული საწარმოები: შპს სტარტაპ საქართველო, დარგობრივი და რეგიონული განვითარების კომპანია და სხვა, სს აგროინვესტი)
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (78 საწარმო)
- ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (49 საწარმო)
- კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (69 საწარმო)
- მშენებლობა (16 საწარმო)
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (23 საწარმო)

- ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება (21 საწარმო).


თუმცა სექტორების მიხედვით სახელმწიფო საწარმოების ჩაშლა აჩვენებს, რომ სახელმწიფო საწარმოები ისეთ სექტორებში გვაქვს, სადაც არანაირი გამართლება არ აქვს სახელმწიფოს მიერ ბიზნესის კეთებას. მაგალითად, დამამუშავებელი მრეწველობა (20 საწარმო), ვაჭრობა ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (14 საწარმო), სასტუმროები და რესტორნები (9 საწარმო), რომელთა ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 300 მლნ. ლარს.

თუნდაც ეს თუ სხვა სახელმწიფო საწარმოები სახელმწიფო დაწესებულებებისთვის საქონლის/მომსახურების არასახელმწიფო ბიზნესზე იაფი მიმწოდებლები იყვნენ, სახელმწიფოს ხშირად ნომინალურადაც კი ძვირი უჯდება მათი საქონელი/მომსახურება. თუმცა რეალური ფასი როცა ითვლება, ვხედავთ, რომ კიდევ უფრო ძვირი უჯდება. რეალურ ფასში შედის ხარისხი, ის გადასახადები, რასაც ბიზნესი გადაიხდიდა (იმ შემთხვევაში თუ სახ. საწარმოები საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ) და ა.შ.

დასკვნა 5. ეკონომიკური ზრდა: ქვეყნის მთავარი გამოწვევაა.


5.1. სად ვართ ამჟამად:

გრაფიკი: ნომინალური, რეალური და ერთ სულზე მშპ-ს ზრდის ტემპი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. *საპროგნოზო მაჩვენებელი

გრაფიკი: მთლიანი გამოშვება და ბიზნეს სექტორის ბრუნვა (მლრდ. ლარი), 2018-2021




წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ოპტიმისტური პროგნოზების პარალელურად, ქვეყანა ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებას მოელის. 2022 წ. მოსალოდნელია ეკონომიკა 8.5%-ით გაიზარდოს⁸. ხოლო, 2023 წ. მთავრობა ეკონომიკის 5%-იან ზრდას პროგნოზირებს, რაც COVID-19 პანდემიამდე არსებულ 2019წ. მაჩვენებელს ემთხვევა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2023წ. პროგნოზი კი 4%-ია. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ეკონომიკის დივერსიფიცირების დაბალი ხარისხია. დივერსიფიცირების დაბალი მაჩვენებელი გამოიხატება როგორც მშპ-ს კომპონენტების, ისე საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში. საქართველოს ეკონომიკა მეტწილად მომსახურების დარგებისგან შედგება და შედარებით მცირეა ინდუსტრიული დარგების წილი. საერთაშორისო გამოცდილებით, ინდუსტრიული დარგების წონა საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკურ ზრდაში საგრძნობლად მეტია.

⁸ 2022 წ. იანვარ-აგვისტოში ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 10.3%-ია (საქსტატი), რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ოთხ თვეში მთავრობა ზრდის ტემპის შენელებას ელის.


გრაფიკი: ნომინალური მშპ-ს სტრუქტურა, 2021*



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

დაბალია დივერსიფიცირების მაჩვენებელი ექსპორტშიც. წლიდან წლამდე იზრდება ექსპორტის მაჩვენებელი, თუმცა, ჯამური ექსპორტის 56%, ხუთ ძირითად სავაჭრო პარტნიორზე ნაწილდება⁹, რაც ზრდის პარტნიორ ქვეყნებზე დამოკიდებულებას და, შესაძლოა, შეაფერხოს ეკონომიკის ზრდა.

გრაფიკი: ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2021




წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული პერიოდის საშუალო ინფლაციის პროგნოზები 2023 წლისთვის აღემატება კანონპროექტით განსაზღვრულს. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგნოზი 6.0%-ია, მსოფლიო ბანკის (WB) – 7.0%, აზიის განვითარების ბანკის (ADB) - 5.0%, ხოლო Fitchისა და S&P-ის პროგნოზები, შესაბამისად, 6.2% და 6.0%-ია.

⁹ 2021 წლის მონაცემების მიხედვით

გრაფიკი: ბიუჯეტის შემოსულობები (მლრდ. ლარი)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი *საპროგნოზო მაჩვენებელი

2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სახელწიფო ბიუჯეტის გადასახდელები¹⁰ 21.2 მლრდ. ლარს მიაღწევს, რაც 10%-ით (დაახლ. 2 მლრდ. ლარით) აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

2023 წელს მთავრობა ეკონომიკიდან გადასახადების სახით 16 მლრდ. ლარის ამოღებას გეგმავს, რაც 2.5 მლრდ-ით აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს. ყველაზე დიდი წილი საგადასახადო შემოსავალში დღგ-ს უჭირავს (40%), შემდგომ მოდის საშემოსავლო გადასახადი (32%), აქციზი (13%) და მოგების გადასახადი (12%).


¹⁰ გადასახდელები არის ის მთლიანი სახსრები, რომლებიც მთავრობას შეუძლია წლის განმავლობაში გამოიყენოს, კერძოდ: ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა. 500 ლარის და მეტი ღირებულების ქონების შეძენა, ფინანსური აქტივების ზრდა (ძირითადად სესხის გაცემა მთავრობის მიერ) და ვალდებულებების კლება (მთავრობის მიერ საგარეო და საშინაო ვალის ძირის დაფარვა, პროცენტის გარეშე).

გრაფიკი : ბიუჯეტის გადასახდელები (მლრდ. ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი*საპროგნოზო მარჯვენაზელი

გრაფიკი: სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი), 2018-2021




წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

5.2. გადასახადების ეტაპობრივი შემცირება: ეკონომიკის სწორი სტიმულირება შეუცვლელია ეკონომიკური ზრდისთვის. პანდემიით და ომით გამოწვეული მიწოდების და წარმოების საერთაშორისო ჯაჭვების ომით გამოწვეული მოშლაზე საჭიროა გაბედული და მკაფიო პასუხი, რაც პირველ რიგში შეიძლება გადასახადების ეტაპობრივი შემცირება იყოს.

2023 წელს ბიუჯეტის 1.2 მილიარდიანი ნაშთი საშუალებას გვაძლევს დავაკომპენსიროთ გადასახადების შემცირების საწყისი ეტაპით გამოწვეული დანაკლისი შემოსავლებში. მართალია, ამ 1.2 მილიარდიდან 594 მლნ კომერციული ბანკების მეშვეობით ეკონომიკის გრძელვადიან დაფინანსებაზე მიიმართება, რაც კარგია, მაგრამ ომის ფონზე პოსტპანდემიური ეკონომიკისთვის, გაცილებით მეტი სტიმული იქნება გადასახადების შემცირება.

გადასახადების შემცირებით ეკონომიკის სწორი სტიმულირების გაბედული ნაბიჯი იყო გაუნაწილებელი მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება. მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირების მიუხედავად, წლიდან წლამდე მცირდება სხვაობა გადასახადიდან მიღებულ ფაქტიურ შემოსავალსა და განაკვეთის შემცირების გარეშე მოსალოდნელ შემოსავალს შორის. რეფორმამდე, 2010-2016 წლებში, შემოსავალი საშუალოდ 11%-ით იზრდებოდა. ხოლო, 2010-2022 წლებში შემოსავალი გადასახადიდან საშუალოდ 9%-ით გაიზარდა.


გრაფიკი: მოგების და სხვა საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი), 2010-2023 წწ.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

გრაფიკის მიხედვით, 2017 წელს, რეფორმის დაწყების წელს, მკვეთრად გაიზარდა ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, თუმცა შემდეგ ზრდა შენეულა 2021 წლამდე.

გრაფიკი: ბიზნეს სექტორის გამოშვება და ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლრდ. ლარი), 2010-2021



წყარო: საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

5.3. საგადასახადო შეღავათების გაუქმება: გადასახადების ეტაპობრივ შემცირებასთან ერთად მნიშვნელოვანია საგადასახადო შეღავათების ეტაპობრივი გაუქმება რეგულირების ექსპოსტ გავლენის შეფასების (Post-RIA) საფუძველზე (იხ. რეკომენდაციები ქვემოთ).

საგადასახადო შეღავათები, განსაკუთრებით ისეთი რეგრესული, როგორცაა დღგ-ს შეღავათები, ხელს უწყობს შემოსავლის ასიმეტრიულ გადანაწილებას -- ღარიბების კიდევ უფრო მეტად გაღარიბებას და მდიდრების კიდევ უფრო მეტად გამდიდრებას. რეგრესული ისეთი გადასახადია, რასაც ნაკლებშემოსავლიანებისგან მეტშემოსავლიანებზე მეტი მიაქვს. საგადასახადო შეღავათების არსებობა ხელს უშლის ეკონომიკაში რესურსების ეფექტიანად გადანაწილებას, რის გამოც მშპ-ს ყოველწიურად აკლდება 2-დან 3 პროცენტამდე, რასაც თავად ფინანსთა სამინისტროც აღნიშნავს.

საგადასახადო შეღავათების გაუქმება ფინანსთა სამინისტრომ ჯერ კიდევ 2021წ. თებერვალში დააანონსა. ბიუჯეტის კანონპროექტებს ერთვის იმ თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები, რაც ქვეყნის საჯარო ფინანსების დღის წესრიგში ყველაზე მწვავედ დგას, თუმცა საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების ინიცირება არც 2022 წ. კანონთან და არც 2023 წლის კანონპროექტთან ერთად არ მომხდარა.

II რეკომენდაციები:

1. მთავრობის ადმინისტრაციული ზომა და სოციალური ხარჯები

1.1. შემცირდეს ბიუროკრატია, რაც შეამცირებს საჯარო სექტორში შრომის მთლიან ანაზღაურებას: საგანგაშოა არა საჯარო მოხელეთა ხელფასების ზრდა, რაც ნორმალური მოვლენაა, განსაკუთრებითა ინფლაციის გათვალისწინებით, არამედ მათი რაოდენობის ზრდა¹¹.

1.2. დაჩქარდეს მიზნობრივი სოციალური დახმარებების (TSA) რეფორმა, კერძოდ¹²

- საჭიროებების პროქსი ინდექსის (PMT)¹³ და საჭიროებების ინდექსის¹⁴ იმგვარი ცვლილებები, რაც მეტი სანდოობით მოგვცემს რეალურად სოციალურად დაუცველების იდენტიფიცირების საშუალებას მათი შემოსავლების რყევების, გადამოწმებადი ხარჯების და სხვა კრიტერიუმების მიხედვით.
- ღვენილთა ბაზასთან გადაფარვების აღმოფხვრა.
- მიზნობრივი სოციალური დახმარებების (TSA) რეფორმის პარალელურად დაიწყოს შემოსავლების უკეთ აღრიცხვის მარეგულირებელი რეფორმა, მათ შორის, პირველ რიგში მიზნობრივი სოციალური დახმარებების ბენეფიციარების და აპლიკანტების პირად ანგარიშებზე ჩარიცხვების. კარგი საერთაშორისო გამოცდილებით, შემოსავლების აღრიცხვასთან დაუწყვილებელი მიზნობრივი სოციალური დახმარებების რეფორმა შედეგიანი ვერ იქნება.
- მნიშვნელოვანია სოციალური გასაცემლების ზრდა მიზნობრივი სოციალური დახმარებების (TSA) ამგვარი რეფორმით იყოს ნაკარნახევი.
- ხარჯების გადანაწილებით გამოთავისუფლებული რესურსი მიიმართოს ისეთ დარგებსა და პროგრამებზე, რომლებსაც უფრო მაღალი წვლილი აქვთ ეკონომიკურ ზრდაში, მაგ. ინფრასტრუქტურისკენ, განათლებისკენ და ა.შ.

1.3. მიზნობრივი სოციალური დახმარებების (TSA) რეფორმამდე დროებით შეჩერდეს ასაკობრივი პენსიის ინდექსაციის გარეშე ზრდა და ასევე სხვა სოციალური გასაცემლების ზრდა.

კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვის ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია და ფისკალური გამართლება არის სახელმწიფო პენსიაზე დამოკიდებულების შემცირება. იმ ცნობიერების დამკვიდრება, რომ სახელმწიფო პენსიაზე ვერ იქნები დამოკიდებული კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფო პენსიის ზრდის შეჩერების ლეგიტიმაციისთვის. როცა სახელმწიფო პენსიის ყველა მიმღები იმავდროულად დაგროვებითი საპენსიო

¹¹ 2023 წ. საჯარო მოხელეთა რაოდენობა არათუ არ მცირდება, არამედ მცირედით (247) იზრდება კიდევ

¹² ამ რეფორმის აუცილებლობა მსოფლიო ბანკის ადამიანური კაპიტალის 2022წ. ანგარიშშიც არის აღნიშნული

¹³ Proxy Means Test

¹⁴ Needs Index

სისტემის ბენეფიციარი იქნება, სახელმწიფო პენსია ან საერთოდ აღარ გაიზარდოს ან აღარ გაიზარდოს იმ ტემპით რა ტემპითაც ამ რეფორმის გარეშე გაიზარდებოდა. როცა ეს დრო დადგება, სახელმწიფო პენსიის ინდექსაციით ან მითუმეტეს, ინდექსაციის გარეშე ზრდის საკითხი აღარ უნდა განიხილებოდეს.

2. პროდუქტიული დარგების საბიუჯეტო დაფინანსება: ინფრასტრუქტურა & განათლება

- 2.1. მოხდეს იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რაც ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, მათ შორის როგორც პირდაპირი უცხოური ისე შიდა ინვესტიციების მოზიდვას და შესაბამისად ეტაპობრივად გაიზარდოს ინფრასტრუქტურის დაფინანსება.
- 2.2. მთავრობამ მაქსიმალურად უზრუნველყოს უმთავრესი ინფრასტრუქტურული პროექტის ანაკლიის პორტის პროექტის მიმდინარე სტატუსის და გეგმების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.
- 2.3. შესაფერი კონტრაქტორების საძიებლად აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შესაძლებლობა მოცემული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობით.
- 2.4. გათვალისწინებულ უნდა იქნას კარგი საერთაშორისო პრაქტიკა, რაც აჩვენებს, რომ საინვესტიციო პროექტების დაგეგმვა, როცა კერძო კონტრაქტორის და არა რომელიმე სახელმწიფო უწყების პასუხისმგებლობაა, ეს პროექტები გაცილებით ეფექტიანად ხორციელდება და არც თანხების ათვისების პრობლემა დგება.
- 2.5. მოხდეს სკოლამდელი და საშუალო განათლების საჭიროებების იდენტიფიცირება, რისი ნაწილიც ასახულია მსოფლიო ბანკის ადამიანური კაპიტალის 2022წ. ანგარიშში, და შესაბამისად გაიზარდოს დაფინანსება.
- 2.6. დაიწყოს PISA-ს შედეგების გაუმჯობესებისთვის კვლევებზე დაფუძნებულ ძირეული რეფორმა, მათ შორის მოხდეს სკოლის დამთავრებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების გაუმჯობესება იმგვარად, რომ ამან პოზიტიურად იმოქმედოს მოსწავლეების მოტივაციაზე, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის არჩევანზე და შესაბამისად სწავლის ხარისხზე. დღეს სკოლადამთავრებულ მოსწავლეთა მხოლოდ 6% მიმართავს პროფესიულ სასწავლებლებს, ხოლო 81% უმაღლეს სასწავლებლებში მიდის, თუმცა მაღალია ალბათობა იმის, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირი ვერ იპოვის სამუშაოს.
- 2.7. მოხდეს პროფესიული განათლების გადაწყობა იმ დაშვებით, რომ ახლო მომავალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მძლავრი ტალღა წამოვა. საერთაშორისო გამოცდილებით, ის ქვეყნები, რომლებიც ასე მოიქცნენ, უკეთ მომზადებული ხვდებოდნენ ინვესტიციების ნაკადებს.

3. შედეგებზე ბიუჯეტის ორიენტაცია

- 3.1. განისაზღვროს ვადა, როცა პროგრამული დანართი ბიუჯეტის კანონის ნაწილად იქცევა.

4. სახელმწიფო საწარმოები

- 4.1. ფინანსთა სამინისტროს უნდა მიეცეს თავისუფლება მოაგვაროს სახელმწიფო საწარმოების ის პრობლემები, რასაც ფისკალური რისკების დოკუმენტში თავად აღწერს, პირველ რიგში დაასრულოს და შემდეგ აკრძალოს კვაზიფისკალური აქტივობები, მაგალითად ჰქონდეს თავისუფლება არ დაუშვას საყოფაცხოვრებო სექტორში ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფების შენარჩუნება, რამაც ყველაზე წარმატებული სახელმწიფო საწარმოს, ნავთობის და გაზის კორპორაციის ეფექტიანი ფუნქციონირება დააყენა რისკის ქვეშ.
- 4.2. ენერგეტიკის სექტორიდან მომდინარე ფისკალური რისკები ეტაპობრივად მცირდება, თუმცა გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტიანობისთვის, აუცილებელია, წახალისდეს კონკურენცია და პროცესი წარიმართოს მაქსიმალურად გამჭვირვალედ.
- 4.3. სახელმწიფომ ხელის დაიცალოს სახელმწიფო საწარმოების აქტივებისგან.

5. ეკონომიკური ზრდა

- 5.1. **გადასახადების შემცირება.** პანდემიით და ომით გამოწვეული მიწოდების და წარმოების საერთაშორისო ჯაჭვების ომით გამოწვეულმა მოშლას მნიშვნელოვანია ეკონომიკის სწორი სტიმულირებით ვუპასუხოთ. 2023 წელს ბიუჯეტის ლ1.2 მილიარდიანი ნაშთი საშუალებას გვაძლევს დავაკომპენსიროთ გადასახადების შემცირებით გამოწვეული დანაკლისი შემოსავლებში. მართალია ამ ლ1.2 მილიარდიდან ლ594 მლნ კომერციული ბანკების მეშვეობით ეკონომიკის გრძელვადიან დაფინანსებაზე მიიმართება, რაც კარგია, მაგრამ ომის ფონზე პოსტპანდემიური ეკონომიკისთვის, გაცილებით მეტი სტიმული იქნება გადასახადების შემცირება.
- 5.2. შემდგომ წლებში კი გადასახადების დაწევით შემცირებული შემოსავლების დაკომპენსირება შესაძლებელია ხარჯების შემცირებით, რასაც შეფასების პირველ დასკვნაში ვეხებით.

5.3. საგადასახადო შეღავათები

- ჩატარდეს რეგულირების გავლენის ექს-პოსტ შეფასება (Post-RIA) და თითოეული შეღავათისათვის შეფასდეს დასახულ მიზანთან ფაქტობრივი შედეგების შესაბამისობა და ამის მიხედვით მოხდეს გაუქმება
- საგადასახადო შეღავათების გაცხადებული მიზნები მიღწეულ იქნას ხარჯვითი პროგრამებით, რაც, როგორც თავად ფინანსთა სამინისტრო აღნიშნავს, გაცილებით ეფექტიანად არის შესაძლებელი და ასევე უზრუნველყოფს მათ მაღალ გამჭვირვალობას, რადგან ყოველწლიურად წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად¹⁵
- 2024 წ. ბიუჯეტის კანონპროექტს დაერთოს რეგულირების გავლენის ექს-პოსტ შეფასების მიხედვით საგადასახადო კოდექსში შეღავათებთან დაკავშირებული ცვლილებები.

¹⁵2021 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო დანახარჯების ანალიზის დანართი

